

Maia Tsertsvadze

მაია ცერცვაძე

Georgian Technical University

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Nikoloz Baratashvili in Georgian Émigré Literature

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10930>

Following the 1921 Soviet occupation of Georgia, the ensuing resistance and the brutally suppressed national uprising forced many Georgian patriots into exile. Across Europe and America, émigrés founded significant political and cultural centers, launching publishing and journalistic activities that promoted Georgian culture. Their newspapers and journals regularly featured scholarly, literary, and journalistic texts about Georgia and its writers. Among them, romantic poet Nikoloz Baratashvili held a central place, inspiring even the title of the Salia family's Paris-based journal 'The Fate of Georgi'. Presented article reviews émigré materials related to Baratashvili to advance studies of his work and Georgian émigration.

Keywords: Nikoloz Baratashvili, Georgian emigration, Georgian émigré literature, Emigrant publications, Georgian émigrés on Nikoloz Baratashvili

საკვანძო სიტყვები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართული ემიგრაცია, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, ქართველი ემიგრანტები ნიკოლოზ ბარათაშვილზე

როგორც ცნობილია, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასა და ანექსიას, რასაც ქვეყანაში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარება მოჰყვა, ქართველი ხალხი მედგრად შეეწინააღმდეგა. ეს წინააღმდეგობა, რაც სამიოდე წლის შემდეგ მომხდარ მასობრივ განმათავისუფლებელ აჯანყებაშიც გამოიხატა, რეჟიმმა სისხლში ჩაახშო და ქართველი პატრიოტების მიმართ უსასტიკესი რეპრესიები წამოიწყო. მათმა ნაწილმა ერთი მხრივ სასჯელის შიშით და მეორე მხრივ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელების მიზნით მაშინ უცხოეთს მიაშურა. ემიგრანტთა დიდი ნაკადი დამკვიდრდა როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე ამერიკის კონტინენტზე. იქ მათ თანდათანობით ქართული პოლიტიკური და კულტურული ემიგრაციის მძლავრი კერები შექმნეს და თავიანთი მოღვაწეობა გაშალეს. ეს უკანასკნელი პოლიტიკურ მხარესთან ერთად ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციასაც მოიცავდა. ემიგრანტული ცხოვრების თანმდევი სირთულეებით შეჭირვებულმა ენთუზიასტმა ქართველებმა დიდი ძალისხმევით საგამომცემლო და ჟურნალისტური საქმიანობაც წამოიწყეს და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები დააარსეს.

აღნიშნულ გამოცემებში მათი მესვეურნი და ავტორები ათავსებდნენ ქართულ და საქართველოსადმი მიძღვნილი მასალებს, სამეცნიერო, პუბლიცისტურ და მხატვრულ ტექსტებს, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევს, მათი ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებს. ამ მწერალთა შორის არის, ბუნებრივია, დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტი **ნიკოლოზ ბარათაშვილიც** (1817-1845), რომლის გენიალური პოეზია და გამორჩეულად ტრაგიკული ბიოგრა-

ფია, ეპოქა და სოციალურ-კულტურული გარემო მუდამ იყო და არის ლიტერატურისმცოდნეების, ისტორიკოსების, ასევე სხვა დარგის მკვლევართა ინტერესის საგანი როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მრავლისმთქმელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ემიგრაციის ისეთმა ცნობილმა წარმომადგენლებმა, როგორებიც წინო (1898-1992) და კალისტრეტე (1900-1986) სალიები იყვნენ, პარიზში დაარსებულ თავიანთ ქართველოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალს ბარათაშვილის პოემის სათაური, „ბედი ქართლისა“ უწოდეს.

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებაში, რომელიც მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური ორტომეულის გამოცემა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ციფრული მატრიანის მომზადება“ (#FR-23-10216) ფარგლებში, შევეცდებით შეძლებისდაგვარად მიმოვიხილოთ ემიგრანტული ლიტერატურის ის მასალები (მხატვრულ-პუბლიცისტური და სამეცნიერო ტექსტები) თუ მოვლენა, რომელიც რომანტიკოს პოეტს უკავშირდება.

თვალი გავადევნოთ ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ფურცლებს, რომლებიც ეთმობა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის შემოქმედებას.

პირველი მსოფლიო ომის დროს (1916-1918), გერმანიაში (ბერლინში) და მის მოკავშირე ქვეყნებში სამხედრო ტყვედ ჩავარდნილი ქართველებისათვის გამოიცემოდა „ქართული გაზეთი“. იგი წარმოადგენდა თავისუფალი საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის ევროპის კომიტეტის ეროვნულ-სეპარატისტული მიმართულების ორგანოს, უმთავრესად ორკვირეულს და მისი რედაქტორი იყო პოლიტიკოსი და ჟურნალისტი **გიორგი კერესელიძე** (გეორგ კერელი) (1885-1960). ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის მასალების გარდა გაზეთი თავის ფურცლებზე ადგილს უთმობდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ და კრიტიკულ-ესეისტურ წერილებსაც.

ამ გამოცემაში, 1916 წლის 15 დეკემბრის N 18-ში, NN ხელმოწერით დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ხოლო 1917 წლის 20 მაისის N 27-ში - ინფორმაცია „ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემა“ (შარაძე, 2001, გვ. 153).

ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველთვიურ კრებულში - ჟურნალში „კავკასიონი“ (#1-2, 1929 წ., იანვარ-თებერვალი), რომელიც ვიქტორ ნოზაძის (1893-1975), ედუარდ პაპავას და ისიდორე მანწკავას (1900-1944) რედაქტორობით პარიზში 1929-1932 წლებში გამოიცემოდა, მოთავსებულია გერმანიაში ქართული ემიგრაციის წარმომადგენლის, ლიტერატურისმცოდნე **მიხეილ წულუკიძის** (1887-1944) ნარკვევი: „ესკიზები თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან - გალაკტიონ ტაბიძე“. ნარკვევში ვრცელი პასაჟი ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილს:

„ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა იმედიანი, ხალისიანი მწერლობა: მომავლის გამარჯვებით ჰსცოცხლობს ქართველი მხატვარი.

ასეთებია: ჩვენი დიდი შოთა, ილია, აკაკი, ამ ჰანგზე აქვს მომართული თავისი ქნარი თანამედროვე ქართულ მწერლობასაც, რამდენათაც ის თავისუფალია.

თვით ნ. ბარათაშვილი, ასეთი მარტო, ასეთი რთული თავისი ხანმოკლე ტრადიკულ სიცოცხლით, უდიდესი მაგალითი არ არის განა ქართველ მწერლისა, რომელსაც მოთხოვნილება, სურვილი, მისწრაფება აქვს ბრძოლას, მომავალ სიცოცხლეს უმღეროს?..

და რა შუაშია მგოსანი, თუ მისი სიმღერა საზოგადოებას, ერს არ ესმის?!!!..

სწორედ აქ არის ნ. ბარათაშვილის ტრადიზმი... მაგრამ არ დრკება მაინც მებრძოლი სული და, მშვენიერ რაშზე შემსხდარი მგოსანი იმედიანად ჰყივის:

„ტყვილად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო“-ო.

და არ არიან მართალნი ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ ბარათაშვილის მერანი „ფერდებ ჩავარდნილი ჭაკი ცხენია“. არა, ეს ის ისტორიული რაშია, რომელზედაც ქართველმა ერმა მეოცე საუკუნის დასაწყისში კვლავ შეაჯინა თეთრი ჭაბუკი შვიდ მნათობთან სასაუბროდ.

ამ ჭაბუკს უტკბეს სიყვარულით გამთბარი ძუძუ ილია ჭავჭავაძის „ქართველ დედამ“ აწოვა და „აღმართ-აღმართ სიარული“ მწვერვალზე მისაღწევად ჩონგურით ხელში აკაკის ნათელამ ასწავლა“ (შარაძე, 2003, გვ. 361).

ყურადღებას იქცევს ქართველი რევოლუციონერის, პოლიტიკოსის, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, **ვლასა მგელაძის** (1868-1943) წიგნი „26 მაისი“, რომელიც მან ემიგრაციაში ყოფნისას, 1934 წელს პარიზში, დავით ხელაძის სტამბაში დაბეჭდა.

ვლასა მგელაძე მოწმე და მონაწილე იყო ყველა იმ მოვლენისა, მოყოლებული 1887 წლიდან 1918 წლამდე, რომლებმაც ქართული ეროვნული სულის გამოღვიძება გამოიწვიეს და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოამზადეს.

დასახელებულ წიგნში შესულია მოგონებები ამ ღირშესანიშნავი მოვლენების (დ. ყიფიანის მკვლელობა, რ. ერისთავის იუბილე, ალ. ყაზბეგის და ეგ. ნინოშვილის გარდაცვალება, კრწანისის ბრძოლის 100 წლის პანაშვიდი, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა გელათში...) შესახებ. მათ შორისაა წერილიც: „ნიკ. ბარათაშვილის ცხედრის გადმოსვენება“, რომელიც 1893 წელს პოეტის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას და ქართველ ხალხში მის გამოძახილს ეძღვნება.

„ბარათაშვილის გადმოსვენებამ, საქართველოს ყოველ კუთხიდან დელეგატების ჩამოსვლამ, დიდუბეში ერთად თავის მოყრამ, მესამოცე წლების მოღვაწეების კრებულის საზოგადოების წინაშე ერთად გამოჩენამ ქართველი ხალხი ადაფრთოვანა, გაახალისა, მას რაღაც გამოურკვეველი იმედი მისცა – ძალა აგრძნობინა... თვით მოღვაწეებს აზღვავებული ხალხის ხილვით სახე უბრწყინავდათ, ერთმანეთს უღიმოდნენ, მხნევდებოდნენ, ხალხი და „მოღვაწენი“ ერთმანეთის გულის ნადებს უსიტყვოდ იგებნენ...

ხალხში დაბრუნებული დელეგატები მოუთხრობდენ ქართველ ერს სასიქადულო პოეტის გადმოსვენების, დიდებულად დაკრძალვის ამბავს და ერიც ამ ამბით სტკბებოდა, მისთვის უცნობ სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა...

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოთ გარდაიცემის“ – სწერდა პოეტი და ეს ეროვნული სული უკუღმართ დროებით გადაგვარებულ შვილებში იღვიძებდა, თავის თავს აკვირდებოდა...

ბარათაშვილით დაიწყო ხომ ჩვენი სულიერი გამოფხიზლება...“ (მგელაძე, 1934, გვ. 18-19).

ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში გვხვდება ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი და მისი პოეზიით შთაგონებული ლექსები.

პოეტს ეძღვნება ქართველი პოლიტიკოსის, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის **რუბენ ყიფიანის** (1883-1961) „ლექსი ნ. ბარათაშვილს“, რომელიც „რალფის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა პარიზში 1934-1939 წლებში მირიან მელუას (1903-1991) რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში „სოციალისტური აზრი“. ჟურნალი წარმოადგენდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უცხოეთის ოპოზიციის ორგანოს, რომლის იდეური სულისჩამდგმელი იყო ირაკლი წერეთელი (1881-1959). ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სტრიქონები „მერანიდან: „თუ აქამომდე არ ემონა მას, / არც აწ ემონოს შენი მხედარი...“

*„შენ საფლავზე დავდიოდი,
შენი ბედი მაწუხებდა,
ადრე გაწყდა შენი ფიქრი,
ადრე გაწყდა შენი სევდა.*

*ბევრს იტყოდა სწორ-უპოვარს
შენი ჩანგი ისე ჟღერდა,
„მერანს“ ქვეყნის გადამწვდენი
აღმაფრენა თუ დასწერდა!*

იგი ჩემი ნუგეშია,
სასოებით მაგონდება,
ვით მახილი შეუდარო,
მედიდური მოწოდება!

მოდის, რისხვა რისხვას მოსდევს,
ჩხავის, ჩხავის ყორნის ჯარი,
მამულს ჩემსასა ველარ ვხედავ,
წვალობს, ვინც მყავს მეგობარი!

სხვის მიწაზე ვხეტიალობ,
ქარიშხლისგან განასროლი,
ისე ობლად, ვით ზამთარში
ტოტს შთენილი ხის ფოთოლი!

ლტოლვასა და განწირვაში
რომ დავეცე ცივი მკვდარი
ვერ დამხედავს, ვისი ცრემლის
მე ამარყევს თუნდაც ცვარი?!

ასე მიდის დრო და ჟამი,
ასე დამდევს ხვედრი მწარი,
მაინც მინდა როგორც შენ თქვი
ისე ვიყო უშიშარი...“

(შარაძე, 2005ა, გვ. 382-383)

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სტრიქონების გახსენება გვხვდება ქართული კულტურული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი პოეტის, მკვლევრისა და ჟურნალისტის, „ცისფერყანწელთა“ მეგობრის, **გიორგი გამყრელიძის** (ლიტ. ფსევდონიმი „გრიგოლ ზოდელი“) (1903-1975) ორ ლექსში, რომელიც დაიბეჭდა 1960 წელს სანტიაგო დე ჩილეში გამოცემულ მის ლექსთა კრებულში „გვიანი რთველი“. ეს ლექსებია: „ძველი სიმღერა“ (1947) და „ზღაპარი თბილისზე“ (1954):

„მხიბლავს ეს ჭალა, ეს მთა, ეს ველი,
მისდევ ვენახებს - ზვრებს უნაპიროს
და გულში ძველი სიმღერა მღერის:
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“.
თქვენ საჩუქარი მიიღეთ ჩემი:
მსურს სისხლი ჩემი დაფნად დაგფინო.
მკერდნატყვიარი ყვირის ირემი
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“.
იგვალნენ დრონი, თქვენ კვლავ ძველნი ხართ -
ჭალებო, მთებო შვებით მომზირნო!
დახოცილ ლომთა სისხლით სველნი ხართ
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“.
მსურს, თქვენ ვაზების ზედაშეს ვსვამდე:
მხურვალეს, მზიანს, ჩვენ ქართულ მირონს,
დიდება შენდა უკუნისამდე
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“.

*როცა სადამოს ბინდი აშლილი
დაფარავს ჭალას და ცას საფირონს,
გიმღერებს სევდით ბარათაშვილი,
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“
(„ძველი სიმღერა“. გამყრელიძე, 2011, გვ. 9).*

* * *

*„...როს გარიჟრაჟზე შენი ქედები
მზეს უმღერიან ოქროთაველას;
გიმღერენ ჰანგებს შენ პოეტები:
შოთა, აკაკი, ვაჟა-ფშაველა.
მაგრამ თუ ღამე მდუმარე კალთა
დაფარავს ველებს ნისლით და თრთვილით,
სული ობოლი გამოვა მტკვართან
და ატირდება ბარათაშვილი...“
(„ზღაპარი თბილისზე“. გამყრელიძე, 2011, გვ. 5).*

აღსანიშნავია ის ფაქტი, გიორგი გამყრელიძის ამ ლექსებს ყურადღება დაუთმო გრიგოლ რობაქიძემ (1880-1962) თავის კრიტიკული წერილებში: „დღიურიდგან“ (დაიბეჭდა „ბედი ქართლისას“ 1953 წლის მარტის №14-ში, გვ. 22), რომელშიც მან „საუკეთესი შაირი“ უწოდა „ძველ სიმღერას“ (რობაქიძე, 2012გ, გვ. 301) და „გვიანი რთველი“ გიორგი გამყრელიძისა“ (დაიბეჭდა ამავე ჟურნალის 1962 წლის №39-40 ნომერში), რომელშიც ლექსს „ზღაპარი თბილისზე“ მწერალი ასე გამოეხმაურა:

„გიორგი გამყრელიძე ლირიკოსია. მის შაირებში ბევრია უფრო ლირიული ვიდრე ხსენებული „ძველი სიმღერა“. გარნა ამ „სიმღერაში“ ერთი რამ არის საკვირველი. ყოველი ტაიპი შაირისა ბოლოვდება ნიკო ბარათაშვილის სევდიანი ამოძახილით „ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო!“ ვთქვათ პირდაპირ: მოყვანილია იგი როგორც „ციტატა“, ამავე დროს ეს არაა „ციტატა“ – აი საკვირველი. რამდენჯერ მსმენია „ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო!“ რამდენჯერ გადაუშლია ჩემთვის ამ ამოძახილს სევდით ავსილი გული ქართველისა! ვისმენ მას გამყრელიძის შაირში – ხმა სხვაა. რა საკვირველია, ეს ძახილი: „იქ“, საქართველოში მოსმენილი, სხვაა და „აქ“, გადმოხვეწილობაში გაგონილი, კიდევ სხვა. ხოლო „კონტექსტი“ მისი მაინც ერთი-და-იგივეა. გამყრელიძის შაირში კონტექსტი გადმოხვეწილობაა თვითონ და: ამოძახილი ამით მძაფრდება. და ხდება ისე, რომ ავტორი გადმოხვეწილობას ერთი სიტყვითაც არ იხსენებს – მით უფრო მეტყველია შაირი. ვერ ვიტყვი: სრულყოფილი იყოს უკანასკნელი ოსტატობის მხრივ. გარნა „ოსტატობა“ თავი-და-თავი არაა“ (რობაქიძე, 2012გ, გვ. 211).

საკითხის კვლისას გვერდს ვერ ავუვლით მე-20 საუკუნის შუა ხანებში იტალიაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტ მეცნიერს, ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორს, ევროპაში ქართული ლიტერატურის პოპულარიზატორსა და „ვეფხისტყაოსნის“ იტალიურ ენაზე მთარგმნელს **შალვა ბერიძეს** (1892-1970). ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ შალვა ბერიძესეული ფრანგული თარგმანი (N. Baratachvili, Pegase, trad. par Ch. Beridze) 1938 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ქართლოსის“ (№№9-10) ფურცლებზე (შარაძე, 2005ბ, გვ. 96). აღნიშნული ჟურნალი წარმოადგენდა საქართველოს ფამისტური დარაზმულობის ორგანოს, რომელიც პარიზში 1937-1939 წლებში ვიქტორ ნოზაძის (1893-1975) რედაქტორობით გამოდიოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვარგარეთ გახიზვნამდე, 1917 წელს მოსკოვში მან გამოსცა წიგნაკი ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ: *Поэт порыва (жизнь и творчество кн. Н.М. Бараташвили)* (შარაძე, 1993, გვ. 353).

კვლევა გვინდა დავასრულოთ ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის **გრიგოლ რობაქიძის** ცნობილი ესეით „საუბარი კარდუსთან“, რომელიც მან ემიგრაციაში ყოფნისას დაბეჭდა პარიზში, კრებულში „ბედი ქართლისა“ (1948 წ., №1, ივლისი, პარიზი. გვ. 8-18; №2, ოქტომბერი, გვ.7-9; 1949 წ., №4, აპრილი, გვ. 13-17) და რომლის ტექსტშიც არის ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი სტრიქონები. მწერალი აქ იხსენებს 1909 წლის 24 ოქტომბერს ქუთაისში, ქართულ თეატრში წაკითხულ თავის საჯარო ლექციას: „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. გრ. რობაქიძის ეს ესეი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ამ ლექციის ტექსტი დღემდე მიკვლეული არ არის, შემორჩენილი იყო მხოლოდ მისი პროგრამა გაზეთ „დროებაში“ (1909 წ., №227, 14 ოქტომბერი) და მცირე ფრაგმენტი სათაურით „თარის ხმა“ ჟურნალში „ფასკუნჯი“ (1910 წ., №1, გვ. 76) (რობაქიძე, 2012გ, გვ. 666). ისინი შეტანილია გრიგოლ რობაქიძის ნაწერების ხუთტომეულშიც (რობაქიძე, 2012ა, გვ. 411). მოგვყავს ესეის ფრაგმენტები:

„1909 წელს, შემოდგომაზე, მოხსენებას ვკითხულობ ქუთაისის თეატრში ნიკოლოზ ბარათაშვილზე“. დარბაზი გაჭედულია ხალხით. მოხსენება მარჯვედ მიდის. „ვემტყველებ“ და არა „ვკითხულობ“. ბარათაშვილის შაირებიდან ადგილებიც ზეპირად მომყავს - მჯერაჩემი არაჩვეულებრივი მეხსიერება არც ეხლა მიდალატებს. უეცრად - არ ვიცი რის გამო - ვბორძიკობ: ვეღარ ვაგრძელებ ერთი შაირის ხვეულს. წამი აუტანელი ჩემთვის: მომხსენებლისათვის და კიდევ უფრო აუტანელი მსმენელთათვის. ამ დროს ლოჟაში, მარჯვნივ სცენიდან, ერთი დამსწრე მაღლა იმართება, ნელი, დაბალი სიტყვა გამფენილი ქართული კილოთი აგრძელებს იგი შეწყვეტილ შაირს. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და აზვირთული ტაშის ცემით ეხმიანება მას. სიხარულით აყვანილი, მეც ვუკრავ ტაშს და ისეთი გატაცებით: ვლამობ ფრენით გავყვე მას. სად შეიძლება კიდევ განცდა ასეთი რამისა, თუ არ შენს სამფლობელოში, კარდუ?! ნეტარების ჟრუანტელი მივლის ტანში ეხლაც, როცა ამ ამბავს შენს წინაშე ვიგონებ. დამსწრე იგი - გავიგე შემდეგ - ტელემაკ გურიელი იყო, უმცროსი მმა მამია გურიელისა. (გამჩნევ: შენც აგიტოკდა გული)“ (რობაქიძე, 2012გ, გვ. 160).

ნ. ბარათაშვილს და მისი პოეზიის, „მერანის“ შეფასებას ეთმობა კიდევ ერთი პოეტური პასაჟი დასახელებული ესეიდან:

„გატყობ, კვლავ ადელდი. ეხლა ესეც იღე ყურად. ოცდაათიან წლებში გასული საუკუნისა საქართველოს ნიადაგის ნოყო ამამწდალს მიაგავდა. შენმა ენგადმა ქვეფსკნელიდან მოულოდნელად ნიკო ბარათაშვილით აიხილა თვალი - ნიადაგი უხვად ანოყიერდა, თუმცა პოეტს ამ თვალთ ამ სოფელს დიდ ხანს არ უმზერია. მარტოდ მარტო ერთი შაირი რომ დაეტოვებია მას: „მერანი“, მაშინაც კი მისი სახელი უკვდავი დარჩებოდა, არა მარტო საქართველოში. ყმაწვილმა ნიკომ ისუნთქა უფსკრულის პირას ტრაგიულობა „ქართლის ბედისა“, ხოლო ბედის პირისპირ უკუ არ იქცა: მან დიონისური თრობით უფსკრულის თავზე გავარდნილი მერანი გადააფრინა, მარჯით და ლხენით!“

„რამდენჯერ განმიცდია ეს გადაფრენა!“

„ფრიდრიხ ნიცშე მაშინ ჯერ დაბადებულიც არ იყო. „მერანში“ მოცემულია ნიცშე მთელი მისი კიდევანით“ (რობაქიძე, 2012გ, გვ. 168-169).

გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ქართულ ემიგრანტულ გამოცემების ფურცლებზე გვხვდება აგრეთვე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის ცხოვრება-შემოქმედებასთან დაკავშირებული იკონოგრაფიული მასალა, ასევე ციტატები მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან.

ამრიგად, მოხსენებაში ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა და წარმოგვედგინა ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში არსებული ის მნიშვნელოვანი ტექსტები, რომელიც უკავშირდება დიდ ქართველ რომანტიკოს პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს. მათი გაცნობა, ვფიქრობთ, ხელი შეუწყობს როგორც ბარათაშვილოლოგიური, ასევე ქართული ემიგრაციისადმი მიძღვნილი კვლევების გაგრძელებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გამყრელიძე, გ. (2011). გვიანი რთველი. თბილისი: „საარი“.
- მგელაძე, ვ. (1934). 26 მაისი. პარიზი: დ. ხელაძის გამოცემა.
- რობაკიძე, გ. (2012ა). ნაწერები. წიგნი II. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლ. ცომაიამ. თბილისი: „ლიტერატურის მუზეუმი“.
- რობაკიძე, გ. (2012ბ). ნაწერები. წიგნი III. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლ. ცომაიამ. თბილისი: „ლიტერატურის მუზეუმი“.
- რობაკიძე, გ. (2012გ). ნაწერები. წიგნი IV. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლ. ცომაიამ. თბილისი: „ლიტერატურის მუზეუმი“.
- შარაძე, გ. (1993). უცხოეთის ცის ქვეშ: ტომი II. თბილისი: „მერანი“.
- შარაძე, გ. (2001). ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია: ტომი I. თბილისი: „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“.
- შარაძე, გ. (2003). ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია: ტომი III. თბილისი: „მეცნიერება“.
- შარაძე, გ. (2005ა). ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია: ტომი VII. თბილისი: „მეცნიერება“.
- შარაძე, გ. (2005ბ). ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია: ტომი VIII. თბილისი: „მეცნიერება“.

References:

- Gamq'relidze, G. (2011). Gviani rtveli. [Late Harvest]. Tbilisi: "Saari".
- Mgeladze, V. (1934). 26 mai. [May 26]. Paris: D. Kheladze Publishing.
- Robakidze, G. (2012a). Nats'erebi. Ts'igni II. Sheadgina, gamosatsemad moamzada da k'oment'arebi daurto L. Tsomaia [Writings. Book II]. Compiled, prepared for publication and annotated by L. Tsomaia. Tbilisi: "Literature Museum".
- Robakidze, G. (2012b). Nats'erebi. Ts'igni III. Sheadgina, gamosatsemad moamzada da k'oment'arebi daurto L. Tsomaia [Writings. Book III]. Compiled, prepared for publication and annotated by L. Tsomaia. [Writings]. Book III. Compiled, prepared for publication and annotated by L. Tsomaia Tbilisi: "Literature Museum".
- Robakidze, G. (2012c). Nats'erebi. Ts'igni IV. sheadgina, gamosatsemad moamzada da k'oment'arebi daurto L. Tsomaia [Writings. Book IV]. Compiled, prepared for publication and annotated by L. Tsomaia. [Writings]. Book IV. Compiled, prepared for publication and annotated by L. Tsomaia Tbilisi: "Literature Museum".
- Sharadze, G. (1993). Utskhoetis tsis kvesh. T'omi II. [Under a Foreign Sky]. Vol. II. Tbilisi: "Merani".
- Sharadze, G. (2001). Kartuli emigrant'uli zhurnalit'ik'is ist'oria. T'omi I. [History of Georgian Emigrant Journalism. Vol. I]. Tbilisi: "Printing Word Combine".
- Sharadze, G. (2003). Kartuli emigrant'uli zhurnalit'ik'is ist'oria. T'omi III. [History of Georgian Emigrant Journalism. Vol. III]. Tbilisi: "Metsnierba".
- Sharadze, G. (2005a). Kartuli emigrant'uli zhurnalit'ik'is ist'oria. T'omi VII. [History of Georgian Emigrant Journalism. VII]. Vol. Tbilisi: "Metsnierba".
- Sharadze, G. (2005b). Kartuli emigrant'uli zhurnalit'ik'is ist'oria. T'omi VIII. [History of Georgian Emigrant Journalism. Vol. VIII]. Tbilisi: "Metsnierba".